

შპს ინსტრაოფჩა

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

(მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო

საწარმოებისათვის“-ის მიხედვით, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს შპს „ინსტრაოფჩა“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;

- o სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- o ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- o თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2023 წლის 2 აგვისტოს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

„ ინსტრაოფჩა „ს/კ 200270928 დაარსების დღიდან 2009 წლის 12 თებერვლიდან ქართულ ბაზარზე ახდენს ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებს.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

ორგანიზაცია „ ინსტრაოფჩა” არის ქართული საწარმო რეგისტრაციის თარიღი 12.02.2009წ. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი ანდრონიკაშვილის ჩიხი 3 სახლი3.ფაქტიური მისამართია ავჭალის№101.

ჰყავს ერთი დამფუძნებელი ფიზიკური პირი რომან გაბრიჭიძე პ/ნ 53001000677,რომელიც ფლობს 100% წილს.საქმიანობას შეადგენს ტვირთების საერთაშორის გადაზიდვებს საკუთარი და დაქირავებული ტრანსპორტით.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალოსაწარმოებისათვის“-ის მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, ასეთი კომპანიას არ გააჩნია.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

- (ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამიჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

საწარმო უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციებს თავდაპირველად ასახავს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც იყენებს ოპერაციის თარიღისთვის, უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელ სავალუტო კურსს დადგენილს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაყვანილია საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	137571	28132
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	120378	107076
სხვა პირებზე ავანსად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		
მარაგები	21934	9716
მზა პროდუქცია		
სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მოკლევადიანი აქტივები	29787	17177
ბიოლოგიური აქტივები		
თვითღირებულების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	784953	666381
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1094623	828482
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	97328	0
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3873	0
საგადასახადო ვალდებულებები		

გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	96478	138300
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	197679	138300
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“, კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალი“)	59700	59700
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	837244	630482
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		
სულ საკუთარი კაპიტალი	896944	690182
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1094623	828482
სულ მოკლევადიანი აქტივები		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	2971932	2593185
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	2899291	2565353
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	72641	27832
გაყიდვების თვითღირებულება	-2765170	-2418330
საწყისი მარაგები	9716	4554
მარაგების შესყიდვა	405649	301694
გადამუშავების დანახარჯები	393432	296533
საბოლოო მარაგები	21934	9716
საერთო მოგება	206762	174855
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	177105	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	23775	
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	8261	
იჯარის ხარჯი	17750	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2264780	
სულ საოპერაციო ხარჯები		
საოპერაციო მოგება	2067 62	174855

გაუფასურების (ხარჯი) აღდგენა :		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		
სხვა სრულ შემოსავალ / (ზარალ)		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ,ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახადელი იანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი),სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		
მოგება / (ზარალ) განკუთვნილი :		
მშობელი საწარმოს მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		
არამაკონტრებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი		
მოგება / (ზარალი)		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალის გაზრდა“, კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალის გაზრდა“		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

ჯულდ სახსრების მოძრაობა		
ჯულდ სახსრების მოძრაობა		
საოპერაციოსაქმიანობიდან წარმოქმნილ (საოპერაციოსაქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ჯულდ ნაკადები		
საინვესტიციოსაქმიანობიდან წარმოქმნილ (საინვესტიციოსაქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ჯულდ ნაკადები		
საფინანსოსაქმიანობიდან წარმოქმნილ (საფინანსოსაქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ჯულდ ნაკადები		
ჯულდ სახსრების შემოსვლ (გასვლ)		
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ჯულდსახსრებისა დ მათ ეკვივალენტზე		

ფულად სახსრების და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებოპერიოდს დასაწყისში		
ფულად სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებოპერიოდს ბოლოს		

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ა. ფულადი ნაშთი შედგება საბანკო ანგარიშებზე და სალაროში არსებული ნაშთებისგან, სალაროში ღარში და უცხოურ ვალუტაში ნაშთი შეადგენს 10398 ლარს ბანკში საანგარიშგებო წლის ბოლოს ღარში დაუცხოურ ვალუტაში ნაშთი 127173 ლარია.

2. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა 2899291 ლარი არასამეწარმეო შემოსავლებმა კურთა სხვაობით შეადგინა 72641 ლარი სულ შემოსავლებია 2971932 ლარი.

3. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივებში სხვა მოკლევადიანი აქტივებში მოქცეულია დეკემბერში ავანსად გაცემული სამიფლინებო თანხები რაც შეადგენს 29787 ლარს, რაც დაიხურება მომდევნო წლის იანვარში.

4. ძირითადი საშუალებები საყისი და ბოლო ნაშთებით

	მიწის ნაკვეთები	მცენარე ები	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვი ლობა ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	არამატერი ალური აქტივი ვებ.გვერდი	სულ
2021 წელი	210814	0	121118	20094	14636	679368	375	1046

სწკ.ღირებ.								
ემოსვლა			2425	3751	4640	18752	0	29568
მასალების დამატება			243877					243877
ცვეთა			3579	17658	10375	570446	153	60221
გასვლა					1243	50015		51258
დეკემბერი 2021წ	210814	0	363841	6187	7658	77659	222	66638
სწკ.ღირებ.								
2022წელი	210814		367421	23844	18033	648104	375	126859
სწკ.ღირებ.								
ემოსვლა		120		712	5916			6748
მასალების დამატება			141599					141599
ცვეთა			4551	19588	12408	506333	204	543084
გასვლა					245	88656		88901
დეკემბერი 2022წელი	210814	120	504468	4968	11297	53115	171	784953
სწკ.ღირებ.								

შენობაზე 2022წელს შეძენილი მასალებიდან 405649 ლარიდან გადატანილია 93930 ლარის მასალები დამოგების ფორმირებისას შეძენილ მასალებში დარჩება 311719ლარი. ასევე დარიცხული ხელფასიდან 204578 ლარიდან გადატანილია 311719ლარი. ასევე დარიცხული ხელფასი 27473 ლარი და მოგების ფორმირებისათვის დარიცხული ხელფასი შეადგენს 177105ლარს. ასევე შენობაზე გადატანილია მომსახურების ხაზით ხელოსნების გასამრჯელოებზე დარიცხული 20196 ლარი შუალედური ანგარიშით და არ მომხდარა თვითორიგებულების შემცირება.სულ შენობაზე გადატანილია 141599ლარი.

ვალდებულებები

5.სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოხდა მომდევნო წლის განმავლობაში

6.საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს დღგ-ს და საპენსიო ფონდის ვალდებულებას რომელიც წარმოიშვა წლის ბოლოს და გადახდა მოხდა მომდევნო წლის იანვარში. თანხით 3873 ლარი.

7.გამოუმუშავებელი შემოსავალი

ეს მუხლი შედგება ავანსად მიღებული თანხებისაგან. მომსახურების მიწოდება მოხდა მომდევნო წლის განმავლობაში.

10. ამონაგები

ამონაგები შედგება შემოსავლებისგან რომელიც დაკავშირებულია იურიდიულ დაფიზიკურ პირებზე გაწეული საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებთან რამაც როგორც ნაჩვენებია შეადგინა 2899291ლარი, კურსთა სხვაობებით შემოსავალმა შეადგინა 72641ლარი სულ შემოსავალია 2971932ლარი.

12. ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების ჩაშლა


საწყისი მარაგები	9716 ლარი
საბოლოო მარაგები	21934 ლარი
შექმნილი მასალები	311719 ლარი
დარიცხული ხელფასი	177105 ლარი
იჯარა	17750 ლარი
სხვა საგადასახადო ხარჯი	6433 ლარი
კომუნიკაციის ხარჯი	2807 ლარი
დაზღვევა	30449 ლარი
ტრასპ.ექსპლოატაციის ხარჯი	14552 ლარი
კომპიუტერის ხარჯი	114 ლარი
ცვეთა	23775 ლარი
საპროცენტო ხარჯი	8261 ლარი
კურსთა შორის ზარალი	54053 ლარი
სხვა ხარჯი	369636 ლარი
ძირითადი ფონდების გაყიდვის თვითღირებულება	6000 ლარი
დაქირავებულ ტრანსპორტზე გადახდილი თანხები	1754732 ლარი
სულ ჯამი შექმნილი მასალებიდან დაქირავებულ ტრანსპორტზე გადახდილი თანხების ჩათვლით	2777388 ლარი

მოგების ანგარიში

მასალების ბოლო ნაშთს 21934ლარს მიემატა საერთო შემოსავლები 2971932 ლარი, რაც არის 2993866 ლარი გამოაკლდება საწყისი ნაშთი 9716ლარი და საერთო ხარჯი 2777388 ლარი მოგება შეადგენს 206762 ლარს.

შპს ინსტრაოფჩას

დირექტორი: რომან გაბრიჭიძე



შპს ინსტრაოფჩას

ბუღალტერი: ილია მიქაძე

